



Ministerul Educației, Culturii și Cercetării
al Republicii Moldova



სესია 6

მიღწევები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ჩამოყალიბების პროცესში მოლდოვის რესპუბლიკაში

დოქტორი ტატიანა გერშტეგა

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს

დეპარტამენტის უფროსი

თბილისი, 29 მარტი, 2019

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მართვა: მოლდოვის განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტრო- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დეპარტამენტი

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დეპარტამენტი- ეროვნული საკოორდინაციო პუნქტი- პასუხისმგებელია ჩარჩოს განვითარებაზე ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, რომელიც დაინტერესებულია შრომის ბაზრის კვალიფიციური პერსონალის ტრენინგით; და საერთაშორისო ანგარიში მიღწეულ პროგრესზე 2017 წ, ოქტომბერი.
- სტატუსი: 5 პირისგან შემდგარი სტრუქტურა განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტროში.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (NQF) დეპარტამენტი – ძირითადი ფუნქციები:


- მოლდოვას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ჩამოყალიბება ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის- EQF -LLL შესაბამისად;
- კვალიფიკაციების ეროვნული რეესტრის განხორციელება და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა ტექნიკურ და უმაღლეს განათლებაში;
- ტრენინგ-დაწესებულების მიერ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განხორციელების მონიტორინგი;
- პასუხისმგებელია ნამდვილობის, აღიარების და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კვალიფიკაციების შესაბამისობის პროცესზე, რომლებიც მოპოვებულია ეროვნული და უცხოური განათლების სისტემის ფარგლებში.
- აკადემიური აღიარების ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი ENIC-NARIC.

იურიდიული ჩარჩო

- მოლდოვის რესპუბლიკის საგანმანათლებლო კოდი N 152, 17 ივლისი, 2014;
- მოლდოვის რესპუბლიკის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, მთავრობის გადაწყვეტილება N 1016/2017;
- უმაღლესი პროფესიული და ტექნიკური პროფესიული განათლების ნომენკლატურა, დამტკიცებული სამთავრობო გადაწყვეტილებებით;
- კვალიფიკაციების ეროვნული რეესტრი- მთავრობის გადაწყვეტილება N 1199/2018: რეესტრის ტექნიკური კონცეპცია, რეესტრის სტრუქტურა და რეგულაცია რეესტრის თაობაზე;
- ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო ფუნქციონირებს 2015 წლიდან;
- აკრედიტაციის მეთოდოლოგია და შეფასებისა და აკრედიტაციისთვის საჭირო მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები დამტკიცებულია მთავრობის მიერ.
- კანონი დარგობრივი კომიტეტების შესახებ N 244/2017;
- პროფესიების კლასიფიცირება მოლდოვის რესპუბლიკაში.

მოლდოვის რესპუბლიკის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

GD no.1016/26.11.2017



რა როლს თამაშობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

- ტრენინგ-სერვისების ბაზრის რაციონალური ორგანიზება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიური განვითარების კონტექსტში;
- ყველა სოციალური პარტნიორის ჩართვა, რომელიც დაინტერესებულია შრომის ბაზრისთვის შესაბამისი კვალიფიკაციებით;
- სწავლის შედეგებზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე დაფუძნებული ტრენინგი;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კატალიზატორი;
- ჩარჩოს კვალიფიკაციების გათანაბრება ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოს 8 (რვა) დონესთან.
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების და კვალიფიკაციების აღიარების და შესაბამისობის ინსტრუმენტი: უზრუნველყოფს მობილობას სწავლის გაგრძელების ან დასაქმების მიზნით ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

NQF დეპარტამენტი– სოციალურ პარტნიორებთან დიალოგის პლატფორმა

- ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;
- სამინისტროები (მსგავსი პროფილის);
- დარგობრივი კომიტეტები;
- პროფესიული ასოციაციები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო განათლებასა და მეცნიერებაში;
- პრემიერ-მინისტრის ეკონომიური საბჭო;
- სავაჭრო პალატა და მოლდოვის რესპუბლიკის მრეწველობა;
- სტუდენტების წარმომადგენლები და ა.შ.

სოციალური პარტნიორების როლი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ჩამოყალიბებაში

- სოციალური პარტნიორები- ნორმატიული ჩარჩოს, კვალიფიკაციების სტანდარტების, ეროვნული კვალიფიკაციების რეესტრის შემუშავებაში, კონსულტაციებში, დამტკიცებაში მონაწილეობა;
- დარგობრივი კომიტეტები- განხილვის, ნამდვილობის პროცესებში მონაწილეობა და კვალიფიკაციების სტანდარტების კოორდინაცია;
- სამინისტროები- კვალიფიკაციების სტანდარტების კოორდინაცია;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები- კვალიფიკაციების სტანდარტების ჩამოყალიბებაში, გადახედვასა და განხორციელებაში მონაწილეობა. სასწავლო გეგმების ჩარჩოს დებულებებთან შესაბამისობა.

მიღწევები 2018

- მოლდოვის რესპუბლიკის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო მგ. N 1016/2017;
- კვალიფიკაციების სტანდარტების ჩამოყალიბების, განახლების და ვალიდაციის ახალი მეთოდოლოგია;
- 40 კვალიფიკაციის სტანდარტი განათლების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების და ჯანდაცვის სფეროებში;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ექსპერტების ტრენინგი და სერტიფიცირება- სამი ტრენინგი მხარდაჭერილია ETF -ის მიერ;
- კვალიფიკაციების ეროვნული საბჭო;
- სოციალური პარტნიორების გამოვლენა- მათი როლის დამკვიდრება ჩარჩოს განვითარებაში;
- მთავრობის გადაწყვეტილება 1199/2018- კვალიფიკაციების ეროვნული რეესტრის დამტკიცება; რეესტრის (NRQ) ტექნიკური კონცეპცია, სტრუქტურა და ოპერირების რეგულაციები;
- განათლებისა და ტრენინგის სისტემით მიღებული კვალიფიკაციების შესაბამისობა - ექვემდებარება დამტკიცებას მოლდოვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ, მთავრობის გადაწყვეტილება N 1167/2018;
- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება - 5 სემინარი რესპუბლიკის დონეზე და 7 სამუშაო შეხვედრა;
- ნამდვილობის, აღიარების და განათლების დოკუმენტისა და კვალიფიკაციების შესაბამისობის ნორმატიული ჩარჩო და
- პროცესის დეცენტრალიზაცია განათლების რაიონულ დეპარტამენტებზე, ტექნიკურ და უმაღლესი განათლების დაწესებულებებზე;

ძირითადი დაბრკოლებები ჩამოყალიბების პროცესში

- მწირი დიალოგი აკადემიურ და ბიზნეს საზოგადოებას შორის;
- დარგობრივი კომიტეტები არ არის ჩამოყალიბებული ტრენინგის (განათლების) ყველა სფეროსთვის;
- არასაკმარისი პროფესიული და პროფესიის სტანდარტები;
- 5 წლის ჭრილში კონკრეტულ კვალიფიკაციებზე შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის ნაკლებობა;

პრიორიტეტები 2019 -2022

- მოლდოვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ნორმატიული ბაზის, მათ შორის ევროპული კომისიისთვის, რეკომენდაციების შემუშავება;
- უწყვეტი დიალოგი სოციალურ პარტნიორებთან, დარგობრივ კომიტეტებთან;
- სწავლის შედეგებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სტანდარტების ჩამოყალიბება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონეების შესაბამისად;
- კვალიფიკაციების ეროვნული რეესტრი- განხორციელება, ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ყველა აკრედიტებული პროგრამის რეგისტრაცია 2021 წლისთვის;
- განათლების დოკუმენტების და კვალიფიკაციების აღიარების და შესაბამისობის პროცესის ხელშეწყობა;
- არაფორმალური და თვითგანათლების კონტექტში მიღებული უნარების აღიარებისა და ვალიდაციის მექანიზმების განხორციელება;
- თვით-სერტიფიცირება -ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისობა ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან- ანგარიში/საუკეთესო ევროპული პრაქტიკა.

მადლობა ყურადღებისათვის!

www.mecc.gov.md

calificare.edu.md@gmail.com

tatiana.gherstega@mecc.gov.md